



GALT & TAGGART
CREATING OPPORTUNITIES



კაპიტალის ბაზრების მხარდაჭერის პროგრამა

სექტემბერი 2021

სარჩევი

1

პროექტის შესახებ

2

პროექტის მიზნები

3

პროექტის მეთოდოლოგია



პროექტის შესახებ



- “კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის“ პროგრამა საქართველოში ხორციელდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) კაპიტალის ბაზრების განვითარების ჯგუფის მიერ;
- პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ, DIGITAL RE4M პროგრამის ფარგლებში;
- EBRD-ის მიერ დაქირავებული მთავარი კონტრაქტორია გალტ&თაგარტი, მის ქვეკონტრაქტორთან - BDO საქართველოსთან ერთად;
- პროექტის მიზანია კაპიტალის ბაზრების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში;

პროექტის მიზნები

პროგრამის ძირითადი მიზანია მეტად ხელმისაწვდომი გახადოს დაფინანსების მოპოვება ადგილობრივი კომპანიებისათვის კაპიტალის ბაზრის მეშვეობით; ხელი შეუწყოს ადგილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას საქართველოში, COVID-19 პანდემიის შემდგომ ეკონომიკის აღდგენის გზაზე.

პროექტის კონკრეტული მიზნები:

- საგანმანათლებლო მექანიზმის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს კაპიტალის ბაზრებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლებას;
- დამხმარე მექანიზმის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს შერჩეულ კომპანიებს კაპიტალის ბაზრების ათვისებაში;
- თანადაფინანსების მექანიზმი - კაპიტალის ბაზარზე დაფინანსების მოპოვებასთან დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსება შერჩეული კომპანიებისათვის;



მეთოდოლოგია - პროექტის ფაზები

პროექტის ფარგლებში შემუშავებული მეთოდოლოგია შედგება 3 ძირითადი ნაწილისგან:

I ფაზა - ბაზრის პოტენციალის კვლევა და არსებული ბარიერების იდენტიფიცირება

II ფაზა - კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის მექანიზმის შემუშავება

III ფაზა - პროგრამის განხორციელება

პროგრამის ჯამური ხანგრძლივობაა 18 თვე.




I ფაზა - ბაზრის პოტენციალის კვლევა და არსებული ბარიერების იდენტიფიცირება



ბაზრის კვლევა (desk-research)

- საქართველოში ბიზნეს სექტორების დეტალური ანალიზი და მზარდი სექტორების დაიტენტიფიცირება სადაც კაპიტალის ბაზრების განვითარების პერსპექტივა არსებობს
- იდენტიფიცირებულ სექტორებში კომპანიების ანალიზი და არსებული პოტენციალის შეფასება;
- რეგიონის კაპიტალის ბაზრების ანალიზი და შედარება ადგილობრივ ბაზართან
- განვითარების უფრო ზედა საფეხურზე მყოფი ქვეყნების კაპიტალის ბაზრების ანალიზი - მათ მიერ გადადგმული ნაბიჯების ანალიზი



ბაზრის მოთამაშეებთან გასაუბრება და პოტენციური ემიტენტების გამოკითხვა

- ინტერვიუები ბაზრის სხვადასხვა მოთამაშეებთან, მათ შორის: საქართველოს ეროვნულ ბანკთან, ეკონომიკის სამინისტროსთან, საფონდო ბირჟასთან და ა.შ.
- ინტერვიუები აქტიურ ინვესტორებთან ბაზარზე, IFI-თან, იურიდიულ ფირმებთან და ა.შ.
- გამოკითხვა/კითხვარის დაგზავნა შერჩეულ პოტენციურ ემიტენტებთან



II ფაზა - კაპიტალის ბაზრის მხარდაჭერის მექანიზმის შემუშავება

პროექტის მეორე ფაზა დამოკიდებულია პირველ ფაზაში ჩატარებულ კვლევის შედეგებსა და იდენტიფიცირებულ კაპიტალის ბაზარზე შესვლის ბარიერებზე და მოიცავს:

დამხმარე მექანიზმის შემუშავება

- კვლევის შედეგების შესაბამისად, შემუშავდება დამხმარე მექანიზმი, რომელიც შეიძლება მოიცავდეს:
 - საგანმანათლებლო სქემას - იმ თემებთან დაკავშირებით, რაც კვლევის შედეგად დადგინდება საჭიროდ; ტრენინგების, კონსულტაციებისა და საჭირო ინფორმაციის მიწოდების გზით.
 - თანადაფინანსების სქემას - შერჩეულ კომპანიებს საჭიროების მიხედვით შეიძლება დაუფინანსდეთ ემისიასთან დაკავშირებული ხარჯები, მაგ: აუდიტორის, რეიტინგის, განთავსების აგენტის, roadshow-ს და ა.შ. ხარჯები
- კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრა EBRD-ისთან, ეროვნულ ბანკთან და სხვა მნიშვნელოვან ბაზრის მონაწილეებთან კონსულტაციების შედეგად

კომპანიების შერჩევა

- ვებ-გვერდის შექმნა: www.cms.org.ge სადაც დარეგისტრირდებიან პროექტში მონაწილეობის მსურველი კომპანიები
- კანდიდატების შერჩევა წინასწარ შედგენილი კრიტერიუმების მიხედვით
- შერჩეული კანდიდატების დეტალური ანალიზი (ფინანსური და არაფინანსური მხარე)
- შერჩეული კომპანიების დაფინანსების საჭიროებების დეტალური ანალიზი
- პროგრამის მონაწილეების გამოვლენა - EBRD-ის კომიტეტის მიერ

III ფაზა - პროგრამის განხორციელება

პროექტის ბოლო ეტაპი მოიცავს პროგრამის და შექმნილი წამახალისებელი მექანიზმის გამოყენებას:

მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება

- კაპიტალის ბაზრების წვდომაში კომპანიების ხელშეწყობა
- პროგრამის ოპერატიულად ჩატარებაში კომპანიების დახმარება

პროექტის დასრულება

- პროექტისა და მასში მონაწილე კომპანიების შესაბამისი პროექტების პოპულარიზაცია სხვადასხვა მედია საშუალებით
- საბოლოო რეპორტის მომზადება წარმატებულ ემისიებთან დაკავშირებით



პროექტის სარგებელი (ბენეფიტები)

1

ცნობიერების ამაღლება კაპიტალის ბაზრების მეშვეობით ალტერნატიული დაფინანსების მოპოვების შესაძლებლობების შესახებ;

2

საგანმანათლებლო სქემის მეშვეობით - კაპიტალის ბაზარზე დაფინანსების მოსაპოვებლად საჭირო პროცედურების, საკანონმდებლო მოთხოვნებისა და რეგულაციების შესახებ ინფორმაციისა და კონსულტაციების მიღება;

3

პროექტის ფარგლებში კაპიტალის ბაზრის მეშვეობით დაფინანსების მოპოვების გამარტივება;

4

თანადაფინანსების სქემის მეშვეობით - ემისიასთან დაკავშირებული ხარჯებისთვის დაფინანსების მიღება;



გმადლობთ ყურადღებისთვის!

დამატებითი ინფორმაციისთვის, დაგვიკავშირდით:

E-mail: CMS@gt.ge

FB page: www.facebook.com/CapitalMarketSupport



